ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21

2012 წლის 24 თებერვალი

ქ. ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების მე-2 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №4 დანართის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები (თან ერთვის).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 19 ოქტომბრის №28 დადგენილება (სსმ, №46, 03/11/2010, 190040000.35.162.016015).

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ა. მაილაშვილი

დანართი

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	გამგებელი	2360 ლარი
2	გამგებლის მოადგილე	900 ლარი
3	სამსახურის უფროსი	700 ლარი
4	ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – რწმუნებული (გარდა მე-5 გრაფაში მითითებული ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებისა)	700 ლარი
5	ახმეტის მუნიციპალიტეტის რწმუნებულები თუშეთის თემში და სოფელ კასრისწყალში	600 ლარი
6	სამსახურის განყოფილების უფროსი	500 ლარი
7	გამგებლის თანაშემწე	450 ლარი
8	მთავარი სპეციალისტი	420 ლარი
9	წამყვანი სპეციალისტი	380 ლარი
10	უფროსი სპეციალისტი	300 ლარი
11	სპეციალისტი სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურში	275 ლარი
12	სპეციალისტი ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებში	250 ლარი
13	სპეციალისტი გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებში	225 ლარი